ხელშეკრულება № 5312015
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON150000015)

ქ. თბილისი

22 სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N83 საჯარო სკოლა (შემდგომში -შემსყიდველი), მისი დირექტორის ნინელი ადამაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალტა" მისი დირექტორი კახა ჭოველიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-4 პუნქტის, "2015 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის N2174 განკარგულებისა და „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის N12 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველისათვის საჭირო 2 (ორი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (შემდგომში - სტანდარტული ლეპტოპი) შესყიდვა (CPV- 30213100).

2.2. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1518.00 (ერთიათასხუთასთვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს .

3.2 ერთი ერთეული სტანდარტული ლეპტოპის ფასი შეადგენს **759.00 (შვიდას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქონლის გადაცემა მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღისა, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

4.1.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესყიდული ლეპტოპების ტრანსპორტირებას, ასევე მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში ლეპტოპების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4.1.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;
4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართში აღნიშნული მაჩვენებლების.
5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველმა პროდუქციის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველის თანამშრომელი, ლიანა მოსაშვილი ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.
6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.3 შემსყიდველის შესაბამისმა წარმომადგენელმა (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) საქონლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

7 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. ანგარიშსწორება მოხდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
8.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
9.5 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
12.4 მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე დამრღვევ მხარეს აძლევს 15 სამუშაო დღიან დამატებით ვადას. იმ შემთხვევაში თუ დამატებით ვადაშიც ვერ მოხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბაჟო ტარიფების ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის N83 საჯარო სკოლა, ს/კ 208145247. მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი 37. საბანკო რეკვიზიტები: ანგ.# GE41BG0000000247701600, სს „საქართველოს ბანკი“ კოდი BAGAGE22

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს „ალტა“ , მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #8, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.# GE83BR0000000006467370, სს „ბანკი რესპუბლიკა“, კოდი: REPLGE22, ს/კ 211380691

დირექტორი

კახა ჭოველიძე

(ხელმოწერა)

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 23 სექტემბერი, 2015წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს. „ალტა”-ს კორპორატიული გაყიდვების მენეჯერის ზურაბ ბაბლიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ქ.თბილისის N83 საჯარო სკოლის დირექტორი ნინელი ადამაშვილის სახით ვწერთ აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 22 სექტემბერს დადებული N5312015 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა შპს „ალტა“-მ მიაწოდა ხოლო შემსყიდველმა სსიპ ქ.თბილისის N83 საჯარო სკოლამ ჩაიბარა 2 (ორი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ორივე მხარე ვადასტურებთ ხელმოწერით.

მხარეთა ხელმოწერები

შ.პ.ს.“ალტა“

სსიპ ქ.თბილისის N83 საჯარო სკოლა

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 ნლის ბრძანებით

დადასტურებული 24/09/2015 12:08

1	ეა-03 9742771

3	სექტემბერი	2015

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	23	სექტემბერი	2015

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	1	1	3	8	0	6	9	1	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ალტა

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	8	1	4	5	2	4	7	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ თბილისის N83 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ლეპტოპი LENOVO Z50-75	ცალი	2,0000	1518,0000	231,5600	0,0000
		სულ	1518	231,56	0

სასაქონლო ზედნადების No		თარიღი	
7	0197306180	8	23 - სექტემბერი - 2015 04:10

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრა სექტემბერს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #4, მომმართა ბატონი **კახა ჭოველიძის** თხოვნით მოქალაქე **გიორგი კილასონიამ** (დაბ.:01.01.1989წ., რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 7, პირადი №01030044595, პ/მ სერია 11IE05281), რომელმაც განაცხადა, რომ სურს ნოტარიუსის ოფისში მისვლით, მისამართზე: თბილისი ბელიაშვილის ქუჩა N8, მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე **კახა ჭოველიძის** პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **კახა ჭოველიძემ** (დაბ.:26.10.1966წ., რეგისტრირებული მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 16 ბ. 51, პირადი №01010002946, პ/მ სერია 11ID93622) მომმართა. მე ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ასევე, შევამოწმე მისი უფლებამოსილება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15157350, 03/08/2015 14:19:28) და შპს „ალტა"-ს წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **კახა ჭოველიძე** ნამდვილად არის **შპს „ალტა"-ს** (ს/კ:211380691) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **კახა ჭოველიძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **კახა ჭოველიძემ** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც **შპს „ალტა"-ს** დირექტორმა, ამ მინდობილობით, ქალბატონ **ინგა ზურაბიანს** (დაბადების თარიღი: 18.03.1982. რეგისტრირებული მისამართი: წყალტუბო 9 მარტის ქ. N 1, პირადი # 53001006989, პ/მ სერია გ1045073), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ინგა ზურაბიანი უფლებამოსილია იყოს **კახა ჭოველიძის, როგორც შპს „ალტა"-ს დირექტორის** წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში და დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება და საბანკო გარანტიის ხელშეკრულება ნებისმიერი პირობებით ნებისმიერ თანხაზე.

ინგა ზურაბიანი უფლებამოსილია **კახა ჭოველიძის, როგორც შპს „ალტა"-ს დირექტორის** სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2035 (ორი ათას ოცდათხუთმეტი) წლის 9 (ცხრა) სექტემბრამდე. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის დავით ჩალათაშვილის არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; 2. შპს „ალტა"-ს წესდება ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში (პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული მინდობილობა, დამოწ. ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის მიერ 28.05.2015წ., #150548718). გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 37.40 (ოცდაჩვიდმეტი და 40) ლარი.

კახა ჭოველიძე

„ალტა"-ს დირექტორი კახა ჭოველიძე

ნოტარიუსი **დავით ჩალათაშვილი**

საქართველო. ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი * GEORGIA. NOTARY DAVID CHALATAASHVILI * ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი * 01030037424 *

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2475

Transfer Order No 2475

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 24/09/2015 რეფერენსი/reference: 3846279398

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator სსიპ ქალაქ თბილისის # 83 საჯარო სკოლა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE41BG0000000247701600GEL	თანხა/Amount 1518 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ერთი ათას ხუთას თვრამეტი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name სსიპ ქალაქ თბილისის # 83 საჯარო სკოლა	საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer 208145247	
მიმღების დასახელება/Recipient შპს "ალტა"	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code GE83BR0000000006467370	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank 24/09/2015
მიმღების ბანკი/Recipient Bank სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი/Bank Code REPLGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/09/2015
გადახდის დანიშნულება/Description ხელშეკრულება N5312015, 2ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (ლეპტოპი) შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2475

Transfer Order No 2475

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 24/09/2015 რეფერენსი/reference: 3846279398

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator სსიპ ქალაქ თბილისის # 83 საჯარო სკოლა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE41BG0000000247701600GEL	თანხა/Amount 1518 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ერთი ათას ხუთას თვრამეტი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name სსიპ ქალაქ თბილისის # 83 საჯარო სკოლა	საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer 208145247	
მიმღების დასახელება/Recipient შპს "ალტა"	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code GE83BR0000000006467370	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank 24/09/2015
მიმღების ბანკი/Recipient Bank სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი/Bank Code REPLGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/09/2015
გადახდის დანიშნულება/Description ხელშეკრულება N5312015, 2ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (ლეპტოპი) შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		